



Supported by:



Federal Ministry
for the Environment, Nature Conservation
and Nuclear Safety

based on a decision of the German Bundestag

Bund für
Umwelt und
Naturschutz
Deutschland



FRIENDS OF THE EARTH GERMANY

საქართველოს კლიმატის პოლიტიკის ანალიზი

2019

წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა პროექტის - „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება კლიმატის ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო

დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო, მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნებ მიჩნეული დონორთა მოსაზრებებად

დოკუმენტის შემუშავებას ხელმძღვანელობდა ავთანდილ გელაძე

მონაწილეობდნენ:

რუსუდან სიმონიძე, ლელა კვიციანი, დავით სიდამონიძე, ლელა ყაჭვიშვილი

მადლობას ვუხდით ბატონ მერაბ შარაბიძეს კონსულტაციებისა და ამ დოკუმენტის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობისათვის

თანამშრომლობისა და აქტიური მხარდაჭერისათვის მადლობას ვუხდით:

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კლიმატის სამმართველოს, ბატონ კახა მდივანს;

არასამთავრობო ორგანიზაციას - „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსათვის“ - ბატონ გიორგი მუხიგულაშვილს

არასამთავრობო ორგანიზაციას „რემისია“ - ქალბატონ მარინა შვანგირაძეს

სარჩევი

1.	პრეამბულა	4
2.	კვლევის მიზანი, მეთოდოლოგია და მოსალოდნელი შედეგები	4
3.	გარემოს დაცვასთან და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკა	5
3.1.	პოლიტიკური პროცესების განვითარების ეტაპები	5
3.2.	საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები და კანონმდებლობა	7
	ა) საერთაშორისო ვალდებულებები	7
	ბ) საქართველოს კანონმდებლობა	9
3.3.	გარემოს დაცვასთან და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სტრატეგიული დოკუმენტები	13
4.	კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ინსტიტუციონალური და ფინანსური უზრუნველყოფა	17
4.1.	ინსტიტუციონალური უზრუნველყოფა	17
	ა) საქართველოს პარლამენტი	17
	ბ) საქართველოს მთავრობა	17
	გ) საერთაშორისო სტრუქტურები	19
	დ) არასამთავრობო სექტორი	20
4.2.	ფინანსური უზრუნველყოფა	21
	ა) სახელმწიფო ბიუჯეტი	21
	ბ) ადგილობრივი ბიუჯეტები	24
	გ) ფინანსური მხარდაჭერა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან	25
	დ) სამეწარმეო სექტორი	26
5.	კლიმატის ცვლილების მხარდაჭერა განათლების სფეროში	27
6.	SWOT ანალიზი და რეკომენდაციები	28
7.	დასკვნა	32

1. პრეამბულა

კლიმატის ცვლილება თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი გამოწვევაა!

არსებული საფრთხეები და რისკები გამოწვეულია ბუნების ჰარმონიულ პროცესებში ადამიანის უხეში ჩარევით, რაც დღემდე გრძელდება და არც პერსპექტივაში იძლევა დამშვიდების საშუალებას!

ადამიანები, განსაკუთრებით კი პოლიტიკოსები, ვერ აცნობიერებენ, ან აცნობიერებენ და ანგარიშს არ უწევენ იმ ფაქტს, რომ თანამედროვე მიდგომებით ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპები და საარსებო კომფორტი, მიიღწევა ჩვენი შვილებისა და მომავალი თაობების, ზოგადად დედამიწაზე სიცოცხლისათვის უდიდესი რისკები შექმნის ხარჯზე!
დედამიწაზე სიცოცხლე საფრთხის ქვეშაა!

2. კვლევის მიზანი, მეთოდოლოგია და მოსალოდნელი შედეგები

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია კლიმატის ცვლილების გამოწვევებსა და გარდაუვალ ნეგატიურ შედეგებთან შეგუების პროცესში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის გაუმჯობესება-გააქტიურების მიღწევა, საზოგადოებრივი სექტორის ცნობიერების ამაღლებისა და მათი აქტიური ჩართულობის ხელშეწყობის გზით.

კვლევა მოიცავს ინფორმაციას, რომელიც საზოგადოებრივ სექტორს დაეხმარება სახელმწიფო პოლიტიკის მონიტორინგის ეფექტურად განხორციელებასა და ინფორმაციის მართვაში.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნებოდა ღრმა ანალიზსა და ინტერვიუებს.

გამოყენებული იქნა ამ ტიპის დოკუმენტების შედგენის სტანდარტული მეთოდოლოგია:

- კამერალური სამუშაო:** კლიმატის ცვლილების და მასთან დაკავშირებული ქვეყნის მრავალ-მხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების, სტრატეგიული დოკუმენტებისა და საკანონმდებლო აქტების, კლიმატის ცვლილების და კლიმატის ცვლილების პოლიტიკის დოკუმენტების და სხვა ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი;
- გასვლითი სამუშაო:** ინტერვიუები და კონსულტაციები ექსპერტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან;
- ანგარიშის მომზადება:** დოკუმენტის პროექტის მომზადება, დოკუმენტის პროექტის განხილვა და ინტერესებულ მხარეებთან, საბოლოო დოკუმენტის მომზადება.

კვლევის პროცესში გაანალიზდა:

- ყველა დონის პოლიტიკური გაწყვეტილება, კანონმდებლობა, სახელმწიფო პროგრამები და კონცეპტუალური დოკუმენტები;
- საქართველოს მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოფიციალური გამოსვლები და გაცემული დაპირებები;

- საქართველოს მიერ საერთაშორისო აქტებით აღებული ვალდებულებები და შეფასდა მათი აღსრულება.
 - გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი ეროვნული შეტყობინებები, ორწლიანი განახლებადი ანგარიშები (BUR), დაბალემისიანი განვითარების სტრატეგია (LEDC) და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელებული სხვა კვლევები;
 - ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC) დოკუმენტი და შეფასდა მისი ამბიციურობა;
 - კლიმატის ცვლილების გამოწვევებზე მომუშავე ძირითადი ინსტიტუციური მოთამაშეების საკანონმდებლო ბაზა, ორგანიზაციების მისია, დებულება, ტექნიკური და ადამიანური შესაძლებლობები, განხორციელებული პროექტები, მიმდინარე საქმიანობა, არსებული გამოცდილება და სხვა.
 - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლების მიერ ჩატარებული კვლევები, დასკვნები და რეკომენდაციები;
- და სხვა.

მოსალოდნელი შედეგები:

- ✓ კვლევის შედეგებს გაითვალისწინებენ სახელმწიფო სტრუქტურები;
- ✓ პროექტის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, კვლევის შედეგებს აქტიურად გამოიყენებს პროექტის ფარგლებში შექმნილი საზოგადოებრივი ქსელი, რათა აქტიურად და მიზანმიმართულად ჩაერთოს კლიმატის ცვლილების კონცეპტუალური და მიმდინარე საკითხების გადაწყვეტაში;
- ✓ კვლევა ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით საქართველოში მიმდინარე საკითხებზე საზოგადოებრივი მონიტორინგის ეფექტურობის ამაღლებას.

3. გარემოს დაცვასთან და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სახელმწიფოს პოლიტიკა

3.1 პოლიტიკური პროცესების განვითარების ეტაპები

საქართველოში კლიმატის ცვლილების გამოწვევებისადმი სახელმწიფო პოლიტიკა აისახა:

- I. კონსტიტუციაში;
- II. ქვეყნის სტრატეგიულ დოკუმენტებსა და კანონმდებლობაში;
- III. საერთაშორისო ხელშეკრულებებით გაცხადებულ პოლიტიკურ ნებასა და აღებულ ვალდებულებებში.

ამ პოლიტიკური დოკუმენტებისა და მიღწეული შედეგების მიხედვით, კლიმატის ცვლილები-სადმი საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა შეიძლება დაიყოს 3 ძირითად ეტაპად:

- 1) 1992 წლიდან 2005-2006 წლამდე პერიოდი;
- 2) 2006 წლიდან 2016 წლამდე პერიოდი;
- 3) 2016 წლიდან დღემდე პერიოდი.

1) 1992 წლიდან 2005-2006 წლამდე პერიოდი

ეს პერიოდი შემოიფარგლებოდა საერთაშორისო პროცესებში ჩართვის სურვილების დეკლარირებით და არ იყო ორიენტირებული შედეგებზე მოკლევადიან პერსპექტივაში.

საქართველო მონაწილეობდა საერთაშორისო ღონისძიებებში, ხელს აწერდა კონვენციებსა და სხვა აქტებს, მაგრამ ვერ ახერხებდა ეფექტური კონკრეტული ქმედებების განხორციელებას;

2) 2006 წლიდან 2016 წლამდე პერიოდი

2004 წლიდან, საქართველოში შეიცვალა ხელისუფლება და პირველი ორი წლის განმავლობაში გარკვეული ძალისხმევა მოხმარდა კლიმატის თემას, თუმცა პოლიტიკა კვლავ დარჩა სურვილების დეკლარირების ფორმატში და პრობლემების რეალური გადაჭრა კვლავ გადაიდო შორეული პერსპექტივისათვის.

რესურსების უკმარისობას დაემატა ამ პერიოდის ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი ფასადური მიდგომები. უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირები ხშირად აკეთებდნენ გაუთვლელ და პოპულისტურ განცხადებებს.

ასე გამოცხადდა საქართველო „კარბონულიან“ ქვეყნად, გაკეთდა განცხადება ქვეყნის სატრანსპორტო პარკის უმეტესი ნაწილის ელექტრომობილებით ჩანაცვლების შესახებ და სხვა, რაც შემდგომში არ შესრულებულა.

3) 2016 წლიდან დღემდე პერიოდი

ეს პერიოდი ხასითდება კლიმატის ცვლილების გამოწვევებისადმი პოზიტიური, გეგმაზომიერი მიდგომებით. გააქტიურდა შედეგებზე ორიენტირების ვექტორი.

ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი კონსტრუქციულობის ელემენტები და პასუხისმგებლობის ამალგების მცდელობა თითქმის მთლიანად უკავშირდება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, თუმცა ამ პერიოდშიც შეინიშნება ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც უზრუნველყოფილი არ არის შესაბამისი რესურსებით.

ხელისუფლება ძირითადად ორიენტირებულია ქვეყნის გარედან ფინანსური რესურსების მოზიდვაზე და სუსტია გამოწვევების საკუთარი რესურსებით დამლევის მცდელობა.

ასეთი მიდგომები კლიმატის თემას უკარგავს აქტუალობას და აქვეითებს სახელმწიფო სტრუქტურების პასუხისმგებლობას, საზოგადოებაში ვერ იწვევს პრობლემების დამლევადი აქტიური მონაწილეობის განწყობას;

3.2 საერთაშორისო შეთანხმებები და საქართველოს კანონმდებლობა

ა) საერთაშორისო ვალდებულებები

საქართველო შეუერთდა კლიმატთან დაკავშირებულ თითქმის ყველა საერთაშორისო შეთანხმებას:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ, რომელიც მიღებული იქნა 1992 წლის 9 მაისს (ე.წ. რიოს კონვენცია) და ამოქმედდა 1994 წლის 24 მარტს, საქართველომ აღიარა და რატიფიკაცია გაუკეთა ამავე წლის 16 მაისს (საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 16 მაისის N 302 დადგენილება) (საქართველო წარმოადგენს გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის დანართ I-ში არჩართულ ქვეყანას);

კიოტოს ოქმი, რომელიც მიღებული იქნა 1997 წლის 11 დეკემბერს (ძალაში შევიდა 2005 წლის 16 თებერვალს), საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა 1999 წლის 28 მაისს (საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 28 მაისის დადგენილება #1995-III);

2010 წლიდან ქვეყნის დიდმა ქალაქებმა დაიწყეს ჩართვა მერების შეთანხმებაში (COM) და ამჟამად ჩვენი ქვეყნის 23 ქალაქი და მუნიციპალიტეტია მასში ჩართული;

2010 წელს შევუერთდით კოპენჰაგენის შეთანხმებას და განვაცხადეთ - „საქართველო გადადგამს ნაბიჯებს, რათა მიაღწიოს გაზომვად, ანგარიშგებით და შემოწმებით (MRV) გადახრას საბაზისო სცენარიდან, რომელიც მხარდაჭერილი და უზრუნველყოფილი იქნება ფინანსებით, ტექნოლოგიებითა და შესაძლებლობების შექმნით“;

2016 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“, რომელმაც გადამწყვეტი გავლენა იქონია კლიმატის ცვლილების პოლიტიკის თანმიმდევრულობისა და გააქტიურების საქმეში;

საქართველო, 2017 წლის 7 ივნისს, ოფიციალურად შეუერთდა 2015 წლის 12 დეკემბრის პარიზის შეთანხმებას;

და.ა.შ.

საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად ჩატარდა კვლევები და შემუშავდა დოკუმენტები:

- პირველი, მეორე და მესამე ეროვნული შეტყობინებები, მიმდინარეობს მეოთხე ეროვნული შეტყობინების მზადების პროცესი;
- 2010-2013 წლების სათბურის გაზების ინვენტარიზაცია გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი პირველი ორწლიური განახლებული ანგარიში (2015-2016 წლები), 2019 წელს დასრულდა სათბური გაზების მეორე ორწლიური ინვენტარიზაცია (BUR);

დასხვა

2015 წლის სექტემბერში, საქართველომ გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის სამდივნოს წარუდგინა „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილი“-ს დოკუმენტი (INDC), რომლის მიხედვითაც საქართველო გეგმავს 2030 წლისთვის უპირობოდ შეამციროს სათბურის გაზების გაფრქვევები 15%-ით, ტრადიციული ბიზნესის (BAU) სცენარის დონის ქვემოთ. ეს 15% შესაძლოა 25%-მდე გაიზარდოს დაბალი ღირებულების ფინანსურ რესურსებზე და ტექნოლოგიაზე ხელმისაწვდომობის შემთხვევაში.

- გარკვეულ დონეზე შეფასდა კლიმატის ცვლილების მიმართ საქართველოს მოწყვლადობა;
- 2017 წელს მომზადდა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა სოფლის მეურნეობისათვის;
- ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის დახმარებით 2020 წელს დასრულდება „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის შესახებ“ NDC - დოკუმენტის შემუშავება;
- საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინების მზადების პროცესში ჩატარდა კვლევა „კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობა კახეთში“;
- პარლამენტში წარდგენილია კანონპროექტები ენერგოეფექტურობის, შენობების ენერგოეფექტურობის, ენერგოეტიკეტირების, განახლებადი ენერჯის შესახებ;
- საქართველოს პარლამენტში წარდგენილია კანონპროექტი „საქართველოს ტყის კოდექსი“;
- და სხვა.

განვლილ პერიოდში საქართველომ შეიმუშავა კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის არაერთი სახელმწიფო პროგრამა და პროექტი. გარკვეული ძალისხმევა მოხმარდა მათ განხორციელებასაც:

- საქართველო მუშაობს „ეროვნულ დონეზე მისაღები შემარბილებელი ღონისძიებები“ (NAMA) პროექტების მომზადებაზე. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში მომზადდა ოთხი პროექტი (NAMA), რომელთაგან 1 განხორციელდა.
- 2018 წლის ბოლოს დაიგეგმა გაზომვის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) სისტემის ჩამოყალიბება, შემუშავდა კონცეფცია და მიმდინარეობს მისი განხორციელება.
- ევროკავშირის (EU) მერების შეთანხმებაზე (COM) ხელმომწერმა მუნიციპალიტეტებმა აიღეს ვალდებულება სამოქმედო ტერიტორიაზე 2020 წლისთვის 20%-ით შეამცირონ ემისია.
- მიღებულია კანონები „ნარჩენების მართვის კოდექსი“ (მიღებულია 2014 წლის 26 დეკემბერს #2994-რს) და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ (მიღებულია 2017 წლის 1 ივნისს #890-III).

საქართველოს მთავრობამ გამოსცა არაერთი დადგენილება ინსტრუქციისა და ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;

ბ) საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოში გარემოს დაცვა კონსტიტუციითაა გარანტირებული.

2018 წლიდან დეკემბრიდან ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია და შემდეგი ნორმა:

მუხლი 29. გარემოს დაცვის უფლება

1. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, ისარგებლოს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას უზრუნველყოფს კანონი.
2. ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა და მდგრადი ეკოლოგიური განვითარება უზრუნველყოფილია კანონით.

შინაარსობრივად მსგავსი ნორმა მოქმედებდა 1995-2018 წლების კონსტიტუციაშიც.

სახლმწიფოებივი დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საქართველო ინტენსიურად მუშაობდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შემუშავება-მიღებაზე და 2000 წლისათვის უკვე მოქმედებდა საკონსტიტუციო მოთხოვნებსა და თანამედროვე ღირებულებებზე ორიენტირებული კანონები.

შემდგომ პერიოდებში, ლეგალურმა ბაზამ არაერთხელ განიცადა როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური ცვლილებები, ამჟამად კი მიმდინარეობს საერთაშორისო მოთხოვნებთან მათი ჰარმონიზაციის პროცესი.

მიუხედავად მცდელობისა, სუსტად გამოიყურება უშუალოდ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის პროცესი, კონსტიტუციით დადგენილი ნორმები სრულად არ არის ასახული სტრატეგიულ დოკუმენტებში, კანონებში და ნორმატიულ აქტებში.

ქვეყნის კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაციის პროცესი ხორციელდება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების ყოველწლიური სამუშაო გეგმების მიხედვით, თუმცა მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობის გამო ჰარმონიზაციის პროცესი არ მიმდინარეობს უმტკივნეულოდ.

კანონმდებლობის მცირე ვადებში მოდერნიზაციისას ძნელი აღმოჩნდა ინერციის დაძლევა. დაჩქარებულ რეჟიმში პოლიტიკური და კონცეპტუალური გადაწყვეტილებების მიღებამ იმოქმედა კანონმდებლობის ხარისხზეც:

- ✓ საქართველოს კანონმდებლობაში სუსტადაა ასახული ქვეყნის მიერ უკვე აღიარებული საერთაშორისო ვალდებულებები და მათი განხორციელების მექანიზმები;
- ✓ ახალი კანონები არის გაუბედავი და ვერ ისახავს მიზნად მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესებას;
- ✓ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მდგომარეობა და სახელმწიფო ბიუჯეტი ვერ უზრუნველყოფს ტრადიციულისაგან მკვეთრად განსხვავებული პოზიტიური შედეგების მიღწევას.

საქართველოს დღემდე არ გააჩნია მოქმედების ერთიანი სისტემური სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების საკითხებზე რეაგირების, მათ შორის საადაპტაციო თუ სამითიგაციო გეგმების მომზადებას და დანერგვას (ამაჟად მიმდინარეობს მუშაობა კლიმატის სამოქმედო გეგმაზე CAP).

კლიმატის ცვლილების კუთხით დონორი ორგანიზაციების დახმარებით შემუშავებული გეგმები არ განიცდის სისტემურ შეფასებას, სუსტად ხორციელდება კვლევის შედეგებისა და რეკომენდაციების სხვადასხვა დონეზე ანალიზი, დანერგვა.

კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის ფარგლებში მომზადებული ანგარიშების ფორმატში შემუშავებული საადაპტაციო გეგმები ჯეროვნად და სრულად არ არის გაზიარებული სახელმწიფო სამსახურების მიერ და მათი მნიშვნელოვანი ნაწილის რეალიზაცია ხდება მხოლოდ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების ფორმატში.

1992 წლიდან, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი და ერთპიროვნული მმართველი იყო პრეზიდენტი, 2004 წლიდან ამოქმედდა მთავრობისა და პრემიერმინისტრის ინსტიტუტი, ხოლო 2019 წლიდან აღმასრულებელი ხელისუფლების სრული ძალაუფლება გადავიდა პრემიერ მინისტრის კომპეტენციაში.

შესაბამისი კანონის არ არსებობის პირობებში, კლიმატის თემაზე სახელმწიფო რეგულირების ძირითად აქტს წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება (2013 წლამდე) და მთავრობის დადგენილება, ხოლო 2013 წლიდან მთავრობის დადგენილება.

2015 წლამდე კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით გამოცემულია საქართველოს პრეზიდენტის სულ 3 ბრძანებულება და საქართველოს მთავრობის 8 დადგენილება.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები:

1. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 630 (1996 წლის 23 სექტემბერი) „კლიმატის ცვლილების ეროვნული პროგრამის, კლიმატის ცვლილების პრობლემათა სახელმწიფო კომისიის, მისი დებულებისა და სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“
2. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №230 (1999 წლის 30 აპრილი) „კლიმატის ცვლილების ეროვნული პროგრამის, კლიმატის ცვლილების პრობლემათა სახელმწიფო კომისიის, მისი დებულებისა და სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 23 სექტემბრის №630 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“
3. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №720 (2005 წლის 25 აგვისტო) „საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“

საქართველოს მთავრობის დადგენილებები:

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება №172 (2005 წლის 29 სექტემბერი) საქართველოში „კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის“ „კიოტოს ოქმით“ გათვალისწინებული „სუფთა განვითარების მექანიზმის“ განხორციელების კოორდინაციის მიზნით საბჭოს შექმნის შესახებ
2. საქართველოს მთავრობის დადგენილება №248 (2006 წლის 27 დეკემბერი)
3. საქართველოს მთავრობის დადგენილება №169 (2007 წლის 16 აგვისტო)
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება №162 (2008 წლის 30 ივლისი)
5. საქართველოს მთავრობის დადგენილება №67 (2009 წლის 31 მარტი)
6. საქართველოს მთავრობის დადგენილება №203 (2011 წლის 13 მაისი)
7. საქართველოს მთავრობის დადგენილება №279 (2014 წლის 10 აპრილი)
8. საქართველოს მთავრობის დადგენილება №585 (2014 წლის 02 ოქტომბერი)

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით № 630 (1996 წლის 23 სექტემბერი) დამტკიცდა კლიმატის ცვლილების ეროვნული პროგრამა, კლიმატის ცვლილების პრობლემათა სახელმწიფო კომისია, ამ კომისიის დებულება და სამუშაო გეგმა.

1999 წლის 30 აპრილის №230 ბრძანებულებით ცვლილება შევიდა კომისიის შემადგენლობაში.

2005 წლის 25 აგვისტოს №720 ბრძანებულებით კი ძალადაკარგულად გამოცხადდა ზემოთ აღნიშნული ორივე ბრძანებულება. პარალელურად, გაუქმდა აგრეთვე „გაეროს გაუდაზნობასთან ბრძოლის კონვენციის განხორციელებისათვის მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 15 ივლისის № 282 ბრძანებულებაც;

ამ ნაბიჯით კლიმატის თემა გადავიდა მთავრობის რეგულირების სფეროში, თუმცა არც ეს გზა აღმოჩნდა ქმედითი და შედეგიანი:

მთავრობამ, პრეზიდენტის ბოლო ბრძანებულებაზე ოპერატიულად რეაგირებისა და ვაკუუმის შევსების მიზნით 1 თვეში შეიმუშავა და მიიღო დადგენილება № 172 (2005 წლის 29 სექტემბერი) „კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის“ „კიოტოს ოქმით“ გათვალისწინებული „სუფთა განვითარების მექანიზმის“ განხორციელების კოორდინაციის მიზნით საბჭოს შექმნის შესახებ, თუმცა მთავრობის დამოკიდებულება აღმოჩნდა უფრო ზედაპირული, ვიდრე პრეზიდენტის, რადგანაც საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის გარდა, მთავრობამ ამ საბჭოს არ დაუსახა არანაირი მიზანი, არ განსაზღვრა მისი პასუხისმგებლობა, არ იმსჯელა საბჭოს ქმედუნარიანობისა და ანაგარიშგების არცერთ საკითხზე, არ განსაზღვრა რესურსული პოტენციალი და სხვა.

მთავრობამ, ამ საბჭოს დებულების შემუშავება-დამტკიცების, ფუნქციონირებისა და ანგარიშგების სრული სპექტრი გადაულოცა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, რითაც კიდევ ერთხელ დააკნინა საკითხის აქტუალობა და სტატუსი.

ბუნებრივია, რომ შემდგომში, საბჭოში შეყვანილი სხვა სამინისტროების წარმომადგენლები მაღალი ენთუზიაზმითა და პასუხისმგებლობით არ მოკიდებიან საქმეს.

ამ პერიოდში (2005 წლის შემდეგ), კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული მომდევნო 7 დადგენილებიდან ყველა მათგანი შეეხებოდა პირველ (№ 172) დადგენილებაში ცვლილებების შეტანას, საბჭოს პერსონალური შემადგენლობის ცვლილებას და არ შეეხებია არცერთ სხვა საკითხს.

მთავრობას არ მოუსმენია საბჭოს ანგარიში, არ განუხილავს მათი პრობლემები თუ წარმატებები. ლეგალური ბაზის კვლევის მიზნით დეტალურად გაანალიზდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში პარლამენტში შესული კანონპროექტები და მიღებული კანონები:

საქართველოს პარლამენტში, 2013 წლის 30 მაისიდან 2019 წლის 30 მაისამდე, შესულია სულ 300 კანონპროექტი. მათგან გარემოს დაცვის სფეროს შეეხებოდა 107, საიდანაც:

- ✓ 9 ეხებოდა „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებს;
- ✓ 5 ეხებოდა „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებს;
- ✓ 3 ეხებოდა „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ კანონში ცვლილებებს;
- ✓ 11 ცვლილება შევიდა „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონში;
- ✓ 10 ცვლილება ეხებოდა ნარჩენების თემას;
- ✓ 12 ცვლილება ეხებოდა ცვლილებებს სატყეო სფეროში;
- ✓ 6 ცვლილება ეხებოდა „წილის შესახებ“ საქართველოს კანონს;
- ✓ 8 ცვლილება შევიდა „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონში;
- ✓ 6 ცვლილება შევიდა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონში;
- ✓ 13 ცვლილება შევიდა დაცული ტერიტორიების კანონმდებლობაში;

და სხვა.

ამ კანონპროექტების და შემდომ უკვე მიღებული კანონების დიდი უმრავლესობა ეხება ტერმინების დაზუსტებას და სამთავრობო სტრუქტურების რეორგანიზაციიდან გამომდინარე, უფლებამოსილი სამთავრობო სტრუქტურების სახელწოდებების ცვლილებას. ახალი კანონპროექტებიდან შეტანილი იქნა 4, რომელთაგან მიღებულია მხოლოდ 2.

- „ნარჩენების მართვის კოდექსი“ (შეტანის თარიღი 23 ოქტომბერი 2014წ);
- „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ (შეტანის თარიღი 13 თებერვალი 2017წ);

საქართველოს კანონმდებლობა არ ხასიათდება კლიმატის ცვლილებისადმი მაღალი მგრძობელობით, ამ თემის აქტუალობის აღიარებითა და რეგულირების მცდელობით:

გაანალიზებული 107 კანონპროექტიდან მხოლოდ ერთში, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“ მოიხსენიება სიტყვა „კლიმატი“, და აქაც, ეს თემა არ არის პრიორიტეტული.

კლიმატის ცვლილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსში (მუხლი 4) ერთერთ ბოლო მიზნადაა მითითებული და შემდგომ (მუხლი 7/6) ის აღარ მოიხსენიება, როგორც სკრინინგის ერთერთი კრიტერიუმი!

კლიმატის კომპონენტი აღარ ფიგურირებს ამავე კანონის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის სავალდებულო კრიტერიუმიდან (მუხლი 26. სგშ-ის ანგარიში).

გარემოსდაცვითი ხასიათის ნორმები უდაოდ ახდენენ პოზიტიურ გავლენას კლიმატის ცვლილებების გამომწვევი მიზეზების შერბილებასა და პროცესების დარეგულირებაზე, მაგრამ მათი ეფექტურობა მნიშვნელოვნად ამალღებოდა, თუ კანონების მიზნები და ამოცანები განხილული იქნებოდა კლიმატის ცვლილების კონტექსტში.

ცალკეული საკანონმდებლო აქტების ნაჩქარევად შემუშავება, ნეგატიურ გავლენას ახდენს საკვანძო საკანონმდებლო აქტების ხარისხზე.

ასეთ კანონპროექტებს მიეკუთვნება ენერგოეფექტურობის, შენობების ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერჯის შესახებ კანონპროექტები.

არსებული კანონპროექტების მიხედვით, მთავრობას ეძლევა უფლება, გამოსცეს ტექნიკური რეგულაციები და სხვა სახის დადგენილებები ისე, რომ კანონის დონეზე განსაზღვრული არ იქნება პრინციპები და კონცეპტუალური მოთხოვნები ამ აქტებისათვის.

კანონმდებლობაში არსებული ვაკუუმი გარკვეულ კომფორტს უქმნის სახელმწიფო მმართველობით სტრუქტურებს და პარალელურად მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას ახდენს კლიმატის ცვლილების გამოწვევებთან დაკავშირებულ პრაქტიკულ შედეგებზე.

გარკვეულწილად ეს არის მიზეზი იმისა, რომ:

- დღემდე ოფიციალური სტატუსი ვერ შეიძინა და მთავრობისათვის სავალდებულოდ შესასრულებელი არ გახდა საერთაშორისო მხარდაჭერით ჩატარებული არაერთი კვლევის შედეგებზე შემუშავებული რეკომენდაციები;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან ზოგადად გარემოსდაცვითი სფერო და მ.შ. კლიმატის თემატ ფინანსდება მიზერული თანხებით;
- უაღრესად სუსტია და უახლოეს პერიოდებში განვითარება-გამლიერების პერსპექტივის გარეშე კლიმატის ცვლილების გამოწვევების ინსტიტუციონალური მხარდაჭერა;
- და სხვა.

3.3. გარემოს დაცვასთან და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სტრატეგიული დოკუმენტები

კონსტიტუციის მოთხოვნების შესასრულებლად ბოლო პერიოდში საქართველოში შემუშავდა არაერთი სტრატეგიული დოკუმენტი - სახელმწიფო პროგრამა და სამოქმედო გეგმა:

- ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2016-2019 და 2020-2023 წლებისათვის;
- 2017 წელს შემუშავდა „დაბალემისიანი სტრატეგია საქართველოსათვის“ (LEDS). (არაოფიციალური სტატუსის მიუხედავად აქტიურად გამოიყენება კლიმატის ცვლილების მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების საფუძვლად);

- საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა II ეროვნული პროგრამა (NEAP-2) (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის #127 განკარგულებით);
- საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა III ეროვნული ეროვნული პროგრამა (NEAP-3) (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისი #1124 განკარგულებით);
- საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებებთა გეგმა 2014-2020 წლებისათვის (NBSAP) (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისი #343 დადგენილებით);
- საქართველოს გარემოს და ჯანმრთელობის 2018-2022 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა (NEHAP-2) (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 დეკემბრის #680 დადგენილებით);
- განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა (NREAP);
- ენერგოეფექტურობის პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა 2017-2020 წლებისათვის (NEEAP);
- მდგრადი ენერჯეტიკის სამოქმედო გეგმა (SEAP) და მდგრადი ენერჯეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (SECAP) მუნიციპალიტეტებისათვის;
- მიმდინარეობს მუშაობა და მალე დასრულდება „ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ წვლილზე (NDC)“.
- მიმდინარეობს მუშაობა და 2020 წლის ბოლოსათვის დასრულდება კლიმატის სამოქმედო გეგმა (CAP)

ამ დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი თანხვედრაშია ცივილიზებული მსოფლიოს თანამედროვე მიდომებთან და მოთხოვნებთან.

კლიმატის ცვლილების გამომწვევ ფაქტორებში საქართველოს მიზერული წვლილის მიუხედავად, სტრატეგიული დოკუმენტების უმრავლესობა მიზნად ისახავს ემისიების შემცირებისა და ადაპტაციის რიგი ღონისძიებების განხორციელებას, სასურველი შედეგების მიღწევას და ამ მიმართულებით პოზიტიური, შეუქცევადი პროცესების დამკვიდრებას.

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ჯეროვნადაა დაფინანსებული ადაპტაციის ღონისძიებები სამელიორაციო სისტემების განვითარების თვალსაზრისით, შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მყარი ნარჩენების პრობლემებს.

დაფინანსების მოცულობის სიმცირის მიუხედავად, პოზიტიურ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნებისა და დაცული ტერიტორიების სისტემის გაუმჯობესებისათვის დათმობილი ყურადღება. წინგადადგმული ნაბიჯია ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს ფორმირება-განვითარების მხარდაჭერა, სოფლების გაზიფიცირების პროექტი და სხვა.

მიუხედავად აღნიშნულისა, სტრატეგიული დოკუმენტების ამოქმედების კუთხით, სახელმწიფო პოლიტიკაში კვლავ თავი იჩინა ფასადურმა მიდგომებმა, რაც იმაში გამოიხატა, რომ მთავარ საქმედ იქნა მიჩნეული ამ დოკუმენტის შემუშავება და შემდგომში არ მოხდა მათი სრულფასოვანი აღსრულება. რიგი დოკუმენტები არ იქნა მხარდაჭერილი შესაბამისი რესურსებით.

უფრო მეტიც:

„დაბალემისიანი სტრატეგია საქართველოსათვის“ (LEDS), განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა (NREAP) და ენერგოეფექტურობის პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა 2017-2020 წლებისათვის (NEEAP) დღემდე არაა ოფიციალურად აღიარებული და დღემდე განიხილება სამუშაო ვერსიებად.

აღსანიშნავია, რომ ყველა ეს გეგმა შემუშავებულია მთავრობის დაკვეთით და დაფინანსებულია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ.

ძნელია ასეთი რეალობის ახსნა, როცა მთავრობა უკვე თავს კვლევას, შესაბამისი სტრატეგიის მომზადებას და ამ დოკუმენტების მიმართ არ გამოიხატავს პოზიციას მათი ვარგისიანობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ასეთი შეუსაბამოებები შეინიშნება ქვეყნის უმთავრეს ფინანსურ დოკუმენტსა (ბიუჯეტი) და მის განუყოფელ დოკუმენტს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები“-ს შორისაც.

სტრატეგიული დოკუმენტებიდან ყველაზე მეტად აქტუალურია „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები“, რადგანაც ეს ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტის განუყოფელი ნაწილია და 3 წლის განმავლობაში განსაზღვრავს ბიუჯეტის ხარჯვის პრიორიტეტებს. იგი ყველაზე მეტად რეალიზებადია ფინანსური და ინსტიტუციონალური უზრუნველყოფის გამო.

2016-2019 წლებისათვის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ „გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის პრინციპებიდან გამომდინარე საქართველო გაატარებს განვითარებული ქვეყნების მხრიდან ფინანსებითა და ტექნოლოგიებით მხარდაჭერილ კლიმატის ცვლილების „ეროვნულად მისაღებ შემარბილებელ ქმედებებს“, რაც, ასევე, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ენერგოდამზოგავი, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღები, თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანასა და დანერგვას.

კლიმატის ცვლილებებით გამოწვეულ შესაძლო საფრთხეებს ეხება ამ დოკუმენტის ის ნაწილიც, რომელშიც ჩამოყალიბებულია სახელმწიფოს ხედვა ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებაზე.

2016-2019 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის სპეციალური თავი ეძღვნება გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას. რომელიც განსაზღვრავს უშუალოდ კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციის საკითხებს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „მომზადდება კლიმატის ცვლილებასთან ეკონომიკის დარგებისა და ეკოსისტემების ადაპტაციის ეროვნული გეგმა და დაბალემისიანი განვითარების ეროვნული სტრატეგია“. თუმცა, ეს დოკუმენტები ოფიციალურად დღემდე არ გამხდარა სახელმძღვანელო დოკუმენტები.

საერთაშორისო მასშტაბით კლიმატის ცვლილების გამოვლინებების ზემოქმედება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე განიხილება ერთ კონტექსტში.

მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებულ „საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტში“ (CEA), განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული გარემოს დეგრადაციისა და ბუნებრივი რესურსების არამდგრადი გამოყენების სოციალურ და ეკონომიკური დანახარჯებზე. აღნიშნულია, რომ 2012 წელს, ადამიანის საქმიანობით და ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენების გამო საქართველოს გარემოს და ადამიანების ჯანმრთელობას მიაღდა თითქმის ორი მილიარდი ლარის ზიანი (მშპ 7,5%). ზიანის დათვლა ეფუძნება მოცემული ე.წ. „სტატისტიკური სიცოცხლის ღირებულებას“ (Value of statistical life) საქართველოსთვის, რომელიც ერთი ადამიანისთვის მერყეობს 0,24 დან - 0,71 მლნ. აშშ დოლარამდე, როცა ეს რიცხვი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებისთვის შეფასებულია 1,45 მლნ. დოლარად.

აღნიშნული შეფასებიდან და ევროპის რეგიონალური ჩარჩო პროგრამის „**ჯანმრთელობის დაცვა კლიმატის ცვლილების გარემოზე ზემოქმედების პირობებში**“ (2010) მოთხოვნებიდან გამომდინარე, კლიმატის ცვლილების შერბილების და მასთან ადაპტაციის ყველა სტრატეგიულ დოკუმენტში გათვალისწინებული უნდა იქნას ჯანდაცვის საკითხებიც და გაიზარდოს ჯანდაცვის სექტორის წვლილი სათბური გაზების შემცირების მოქმედებებში, რაც საქართველოს სტრატეგიულ დოკუმენტებში უგულებელყოფილია.

კლიმატის ცვლილების გამოწვევებზე რეაგირების თვალსაზრისით მნიშვნელოვნადაა პოზიციები შესუსტებული 2020-2023 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებსა და მიმართულებებში, რომელიც დამტკიცდა 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთად.

სპეციალური თავი „2.8.2 გარემოს დაცვა და სოფლის მეურნეობა“ ძირითადად ეხება სოფლის მეურნეობას, სადაც აქცენტირებულია ადაპტაციის მიმართულება და პრიორიტეტებში თითქმის აღარ მოიხსენიება ემისიების შემცირებისაკენ მიმართული აქტივობები.

ასეთი დამოკიდებულება ვერ უზრუნველყოფს ქვეყანას სტრატეგიული დოკუმენტებით და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას.

ექვს აძლიერებს ის ფაქტიც, რომ ამავე დოკუმენტით დიდი გეგმებია დასახული ქვეყნის სატრანსპორტო ჰაზად ჩამოყალიბებისა და ტურიზმის კიდევ უფრო მაღალი ტემპებით განვითარების თვალსაზრისით, რაც დაკავშირებული იქნება კიდევ უფრო მეტ ემისიებთან და მათი ნეიტრალიზება მოითხოვს მეტ ძალისხმევას, ფინანსურ და სხვა რესურსებს, რაც არ არის გათვალისწინებული მომავალ 3 წლიან სტრატეგიულ გეგმაში.

ამავე გეგმაში ზოგადი ფრაზებითაა ასახული განახლებადი ენერჯების ეფექტურად ათვისებისა და ენერგოეფექტურობის დონის მკვეთრად ამაღლების პერსპექტივა, რაც ვერ იძლევა დეკლარირებული ნების რეალიზაციის გარანტიას.

დოკუმენტის შინაარსობრივისა და ამ შინაარსის რეალიზებადობის თვალსაზრისით შეფასდა სხვა სტრატეგიული დოკუმენტებიც და დადგინდა, რომ:

- დოკუმენტების უმრავლესობა ითვალისწინებს კლიმატის შერბილებისა და ადაპტაციის გაუბედავ ნაბიჯებს, მათში არ იგრძნობა ამბიციური მიდგომა და არსებული რესურსების სრულად ამოქმედების სურვილი;
- დოკუმენტებში დასახული მიზნების უმრავლესობა არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი რესურსებით, რაც ნეგატიურად აისახება მათს განხორციელებაზე;

და სხვა.

მიუხედავად მცდელობისა და გარკვეული წარმატებისა, საქართველოს ჯერ კიდევ არ გააჩნია კლიმატის ცვლილების შერბილების ერთიანი, კონსოლიდირებული სახელმწიფო სტრატეგია, აქტივობები არ არის თანმიმდევრული და ერთმანეთთან ჰარმონიზებული, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გამოყენებული რესურსების უკუგებას, დაბალია ეფექტურობა.

ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო სტრატეგიული დოკუმენტი და მის მოსამზადებლად ჩატარებული კვლევა სახელმწიფოს მხრიდან რეალობაში მიიჩნევა „შემაჯამებელ-საბოლოო“ დოკუმენტად და არა რეკომენდირებული აქტივობების საწყის ეტაპად.

4. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ინსტიტუციონალური და ფინანსური უზრუნველყოფა

4.1. კლიმატის ცვლილების ინსტიტუციონალური მხარდაჭერა

კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილებისა და ადაპტირების სფეროში ჩართულია როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლება.

ა) საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტი აქტიურად მუშაობს ზოგადად გარემოსდაცვით და კონკრეტულად კლიმატის ცვლილების საკითხებზე, როგორც საერთაშორისო პოლიტიკური დოკუმენტების რატიფიცირებაზე, ასევე ქვეყნის კანონმდებლობის შექმნასა და სრულყოფაზე.

შეუფერხებლად ხდება საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივების განხილვა და მიღება.

ამ საკითხების განხილვა-დამტკიცების საქმეში არსებული ენთუზიაზმი სათანადოდ არ აისახება საქართველოს პარლამენტის კონსტიტუციური ფუნქციის - მთავრობის საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელების საქმეშიც.

აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა ამ თემებზე მთავრობის საქმიანობის ეფექტურობას.

ბ) საქართველოს მთავრობა

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე, კონკრეტულად კლიმატის ცვლილების კონვენციის (მ.შ. პარიზის შეთანხმების) შესრულებაზე, პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა, რომელიც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეშვეობით წარმართავს და კოორდინაციას უწევს კონვენციის შესრულების მიმართულებით საქართველოში განხორციელებულ მთელ საქმიანობას.

ამ საქმეში ჩართულია აგრეთვე ყველა შესაბამისი სამინისტრო და სამთავრობო სტრუქტურა, რომლებსაც თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეაქვთ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, სამეცნიერო კვლევის, ანალიზის, პრაქტიკული ღონისძიებების მომზადებისა და გატარების საქმეში.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

გარემოს დაცვის, მ.შ. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციით, კიოტოს ოქმით და პარიზის შეთანხმებით განსაზღვრული პოლიტიკის განხორციელება, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებთან თანამშრომლობა, 2018 წლამდე, დავალებული ჰქონდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.

2017 წელს, მთავრობის სტრუქტურული ოპტიმიზაციის მოტივით, მოხდა სამინისტროების რაოდენობის შემცირება და ეს ცვლილება პირველ რიგში შეეხო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.

ოფიციალური ვერსიით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო შეუერთდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სინთეზირებულ სტრუქტურას ეწოდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ამ ფორმულირებას არ იზიარებს საზოგადოების დიდი ნაწილი და მიიჩნევს, რომ მოხდა პირიქით. გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ყოფილი სტრუქტურები მექანიკურად (და არა ფუნქციურად) იქნა ინტეგრირებული სოფლის მეურნეობის სამინისტროში, რითაც მნიშვნელოვნად დაკნინდა გარემოსდაცვითი პრობლემების აქტუალობა, დაქვეითდა ამ საქმეში გადაწყვეტილების მიმღები პირების სტატუსი და შეიზღუდა მათი უფლებამოსილება.

საზოგადოების ეს ნაწილი მიიჩნევს აგრეთვე, რომ სამინისტროების შერწყმის შემდეგ გარემოსდაცვითი ინტერესები მნიშვნელოვნად დაექვემდებარა ეკონომიკური განვითარების გაცილებით უფრო აქტუალურ ეკონომიკურ ინტერესებსა და ფისკალურ პოლიტიკას.

სამინისტროების რეფორმირებამდეც და ამჟამადაც კლიმატის ცვლილების საკითხებზე მუშაობს სამინისტროს ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტში შემავალი კლიმატის ცვლილების 5-კაციანი სამმართველო, რომლის კომპეტენციაც მოცემულია შესაბამის დებულებაში.

კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილებისა და ადაპტაციის, ინფორმაციის გავრცელებისა და საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფადაა მოწოდებული ასევე სამინისტროს სტრუქტურაში, დამოუკიდებელ იურიდიულ პირად შემავალი გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

კლიმატის ცვლილების გამოწვევებზე აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურები და მათი რესურსები აშკარად შეუსაბამოა საკითხის მასშტაბურობასთან და აქტუალობასთან.

ეს რესურსები შეუდარებლად მცირეა იმ მინიმუმთან შედარებით, რაც საკმარისი იქნებოდა ადგილობრივი ვალდებულებების სრულფასოვნად შესრულებისთვის.

მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ სახელმწიფო, საკუთარი ბიუჯეტიდან ჯეროვნად არ აფინანსებს შესაბამის პროგრამებსა და პროექტებს, რაც შექმნიდა პროცესში დამატებითი ძალების მოზიდვისა და ჩართვის საშუალებას.

საინტერესო სურათი იკვეთება დაკისრებული ფუნქციების შესრულებისა და შემუშავებულ დოკუმენტებზე პასუხისმგებლობის ადების თვალსაზრისითაც:

საქართველოდან საერთაშორისო სტრუქტურებსა და კონვენციების სამდივნოებში გაგზავნილი ანგარიშების და სხვა დოკუმენტების დიდი ნაწილი არ მტკიცდება მთავრობის მიერ. უკეთეს შემთხვევაში ეს დოკუმენტები იგზავნება მინისტრის პასუხისმგებლობით, რაც შესაბამისად აისახება მათი განხორციელების ვალდებულებებზე.

გ) საერთაშორისო სტრუქტურები

კლიმატის ცვლილების საკითხებში საქართველოს უდიდესი საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს. ამ თემასთან დაკავშირებული აქტივობების, კვლევებისა და დოკუმენტების მომზადების პროცესების უმრავლესობა ხორციელდებოდა და ამჟამადაც ხორციელდება საერთაშორისო ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით.

მათი მხარდაჭერით შემუშავებული იქნა:

- ✓ 4 ეროვნული შეტყობინება;
- ✓ სათბური გაზების ეროვნული ინვენტარიზაციის 2 ანგარიში;
- ✓ დაბალემისიანი სტრატეგია საქართველოსათვის (LEDC);
- ✓ INDC -ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის დოკუმენტი;
- ✓ მიმდინარეობს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) დოკუმენტის შემუშავება;
- ✓ და სხვა.

მიუხედავად უდიდესი წვლილისა, საერთაშორისო სტრუქტურების მხარდაჭერა მიმდინარეობს გარკვეული ხარვეზებით.

ცნობილია, რომ საერთაშორისო სტრუქტურები თავიანთ მხარდაჭერას ახორციელებენ ადგილობრივი არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით. თუმცა, ამ საქმეში ვერ მონაწილეობს ამ თემით დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდი ნაწილი.

ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად განაპირობა ის, რომ კლიმატის თემაზე მომუშავე არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სპექტრის გარკვეული ნაწილი დისტანცირებულია მიმდინარე პროცესებისაგან, დაბალია ჩართულობის დონე, ქვეითდება მათი კვალიფიკაცია და ა.შ.

ყოველივე ეს ნეგატიურად მოქმედებს ზოგადად საზოგადოების ინფორმირებულობაზე, ცნობიერების დონეზე, ჩართულობაზე და სხვა.

დ) არასამთავრობო სექტორი

კლიმატის თემაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურების დაბალმა პოტენციალმა და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს შორის არასათანადო კომუნიკაციამ განაპირობა ის, რომ ამ გლობალური პრობლემის გამოწვევებზე საქართველოს ვალდებულებების დიდ ნაწილზე პასუხისმგებლობა გადანაწილდა არასამთავრობო და საზოგადოებრივ სექტორზე.

ამ ტენდენციაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმანაც, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში თანამშრომელთა ანაზღაურება არაადეკვატურად დაბალია და მოხდა მაღალი კვალიფიკაციის ექსპერტების არასამთავრობო სექტორში გადადინება, რამაც კიდევ უფრო დაასუსტა სახელმწიფო სტრუქტურები.

კლიმატის ცვლილების საკითხებში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან არასამთავრობო ორგანიზაციები:

- ✓ ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (World Wide Fund for Nature, WWF) და მისი წარმომადგენლობა კავკასიაში;
- ✓ საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო;
- ✓ მსოფლიო გამოცდილება საქართველოსათვის (WEG);
- ✓ „რემისია“
- ✓ კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN);
- ✓ კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი, REC-Caucasus;
- ✓ „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“;
- ✓ ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“;
- ✓ სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ნაკრესი“;
- ✓ აიიპ „მწვანე რეგიონები“;
- ✓ იმერეთის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“;
- ✓ ქალები ქვეყნის მომავლისათვის;
- ✓ სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“;
- ✓ თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრი;
- ✓ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება; და სხვა.

აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციების მიზნები, საქმიანობა და მათ მიერ განხორციელებული პროექტების ანალიზი მოცემულია ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“-ს მიერ 2016 წელს მომზადებულ კვლევაში „კლიმატის ცვლილების შესახებ“ ჩარჩო-კონვენციის ეროვნულ დონეზე განხორციელება” (ინსტიტუციური მოწყობის და მონიტორინგისა და ანგარიშგების შესაძლებლობათა შეფასება) (გვერდები: 23-34).

4.2 ფინანსური უზრუნველყოფა

საქართველოს კონსტიტუციით გარემოს დაცვა და მ.შ. კლიმატის ცვლილების შერბილების და ადაპტირების ღონისძიებების განხორციელება, სახელმწიფოს პრეროგატივა და ვალდებულებაა: ცენტრალური ხელისუფლება, ამ ვალდებულებას ფინანსურ უზრუნველყოფას ახორციელებს:

- საბიუჯეტო ასიგნებებით, მ.შ. ქვეყნის მიერ აღებული სესხების ხარჯზე;
- დონორების მიერ გაცემული გრანტების ხარჯზე.

ფინანსური უზრუნველყოფის საკმაოდ მნიშვნელოვანი წყაროა არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მოზიდული თანხები.

გარემოს დაცვის, მ.შ. კლიმატის ცვლილების ფინანსური უზრუნველყოფის საქმეში მცირე, თუმცა გარკვეულ როლს ასრულებს სამეწარმეო სექტორის მიერ ამ მიზნით გამოყოფილი თანხები და რეალიზებული პროექტები.

ა) სახელმწიფო ბიუჯეტი

საბიუჯეტო ხარჯების ანალიზი ნათლად მეტყველებს, რომ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში საბიუჯეტო სუბსიდიები და სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული გარემოს დაცვითი პრიორიტეტები ერთმანეთთან შეუსაბამოა.

სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვის პრიორიტეტად გაცხადებული პოზიციები უზრუნველყოფილი არ არის ადეკვატური საბიუჯეტო დაფინანსებით.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო ვალდებულებებსა და შესაბამის ფინანსურ უზრუნველყოფას შორის არსებული დისბალანსი გამოწვეული იყო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით და უამრავი სოციალური პრობლემით.

სამწუხაროა, რომ შემდგომ ეტაპებზე და მიმდინარე პერიოდშიც, ეკონომიკის გაჯანსაღებისა და სოციალური ფონის პოზიტიური დინამიკის პირობებში, გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების ახალი გამოწვევების ფინანსური უზრუნველყოფის სურათი მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა. დისბალანსი შენარჩუნებულია როგორც აბსოლუტურ, ასევე პროცენტულ გამოსახულებებში.

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში გაცხადებულია, რომ:

- გარემოს დაცვა, მისი მდგრადობის შენარჩუნება და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პარალელურად, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს;

- გაგრძელება აქტიური გარემოს დაცვის განვითარების პოლიტიკა, რომლის მიზანიც იქნება მდგრადი და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა და ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება.
- გარემოს დაცვის სფეროს კომპლექსური და მრავალსექტორული ხასიათის გამო, იგეგმება ქვეყანაში ეკოომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღება.
- ბუნებრივი რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესებით შესაძლებელია მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მიღება, შესაბამისად რესურსების მდგრადი მართვის მიზნით უზრუნველყოფილი იქნება ყველა რესურსის მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენება გარემოს დაცვის პრინციპების გათვალისწინებით”

ეს პრიორიტეტები კოპირებულია ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური მონაცემებისა და მიმართულებების 2019-2022 წლების დოკუმენტიდან, რომელიც შემუშავებულია მომავალი 4 წლისათვის (რაც თავისთავად კარგია), თუმცა ამ პოზიციებმა ასახვა ვერ ჰპოვა 2019 წლის ბიუჯეტის კანონში, რადგანაც ბიუჯეტის კანონი არ აფინანსებს ამ 4 წლიანი გეგმის განხორციელების კონკრეტულ ქმედებებს.

მაგალითისათვის საკმარისია თუნდაც ის, რომ 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტია ეკოომბუდსმენის ინსტიტუტის ფორმირება და ამისათვის დაფინანსება საერთოდ არ არის გათვალისწინებული. ეკოომბუდსმენის ინსტიტუტი არ დაფინანსებულა არც 2020 წლის ბიუჯეტით.

ანალოგიური, ან მსგავსი დამოკიდებულებაა გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სხვა გამოწვევების მიმართაც.

2019 წლის ბიუჯეტის კანონით გარემოსდაცვითი (მ.შ. კლიმატის ცვლილების) ხარჯები შეადგენდა 86,02 მლნ.ლარს, ანუ პროგნოზული მშპ (მთლიანი შიდა პროდუქტი)-ის დაახლოებით 0,2%-ს. მდგომარეობა არ შეცვლილა 2020 წლისათვის. მართალია გარემოსდაცვითი ხარჯები გაიზარდა 103 მლნ ლარამდე, მაგრამ ეს თანხაც 2020 წლის საპროგნოზო მშპ-ის 0,2%-ს არ აღემატება.

გარემოსდაცვითი ხარჯების წილი ყველაზე დაბალია ფუნქციონალურ ჭრილში: საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში:

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 1 446.6 მლნ ლარი (მშპ-ს 3.2%);
- ✓ თავდაცვა - 819.4 მლნ ლარი (მშპ-ს 1.8%);
- ✓ საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 1 116.9 მლნ ლარი (მშპ-ს 2.5%);
- ✓ ეკონომიკური საქმიანობა - 2 115.1 მლნ ლარი (მშპ-ს 4.7%);
- ✓ გარემოს დაცვა - 86.0 მლნ ლარი (მშპ-ს 0.2%);
- ✓ საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 104.0 მლნ ლარი (მშპ-ს 0.2%);
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა - 1 146.9 მლნ ლარი (მშპ-ს 2.5%);
- ✓ დასვენება, კულტურა და რელიგია - 291.1 მლნ ლარი (მშპ-ს 0.6%);

- ✓ განათლება - 1 300.4 მლნ ლარი (მშპ-ს 2.9%);
- ✓ სოციალური დაცვა - 2 934.9 მლნ ლარი (მშპ-ს 6.5%);

მშპ-თან მიმართებაში გარემოსდაცვითი (მ.შ.კლიმატის ცვლილების) ხარჯები (0.2%) 10-ჯერ და მეტად ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს.

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი საერთოდ აღარ ითვალისწინებდა გარემოზე დაკვირვებისა და მონიტორინგის განხორციელების დაფინანსებას, ეს ტენდენცია გაგრძელდა 2020 წელსაც.

გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისა და განათლების მცირე დაფინანსებას ითვალისწინებდა 2017 და 2018 წლების ბიუჯეტები, თუმცა ამას აღარ ითვალისწინებდა 2019 და 2020 წლების ბიუჯეტები.

ასოცირების ხელშეკრულებით 2019 წელს უნდა განხორციელებულიყო შავი ზღვის გარემოს მდგომარეობის სტატუსის წინასწარი შეფასება იმ კრიტერიუმების მიხედვით, რაც მოცემულია ევროკავშირის საზღვაო სტრატეგიის დირექტივაში, თუმცა 2019 წელს ბიუჯეტში არც ამ მიმართულებით იყო გათვალისწინებული დაფინანსება.

მსგავსი ჩამონათვალის გაგრძელება შესაძლებელია, თუმცა სურათი ნათელია. გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების დასაფინანსებლად საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები ერთობ „მოკრძალებულია“ და არ იძლევა როგორც საკონსტიტუციო, ასევე საერთაშორისო ვალდებულებების სრულფასოვნად რეალიზაციის გარანტიებს.

2017 წლის ბიუჯეტის კანონში საბიუჯეტო პრიორიტეტებს შორის ფიქსირდებოდა, რომ „კლიმატის ცვლილების შესახებ პარიზის შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესაბამისად სახელმწიფო გადადგამს ქმედით ნაბიჯებს ქვეყანაში სათბურის ეფექტის მქონე აირების გაფრქვევების შესამცირებლად“, თუმცა ასიგნებების ნაწილში ამ დანიშნულებით არაფერი გამოყოფილა.

2018 წლის ბიუჯეტის კანონში საბიუჯეტო პრიორიტეტებში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ჩანაწერი კოპირებულია 2017 წლის საბიუჯეტო პრიორიტეტებიდან და ასიგნებებში, 2017 წლის მსგავსად, გამოტოვებულია ამ საკითხების დაფინანსება.

2019-2022 წლებისათვის დაიგეგმა გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და საინფორმაციო კამპანიების სულ 0.4 მლნ. ევროს ოდენობით დაფინანსება.

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ადექვატური დაფინანსება არ არის გამოყოფილი ისეთ ღონისძიებებზე, რომელიც „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები“-ს (თავი V) მიხედვით პრიორიტეტულადაა მიჩნეული.

სამთავრობო სტრუქტურების რეორგანიზაციის შედეგად კიდევ ერთხელ იჩინა თავი სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროების შერწყმის ნეგატიურმა შედეგებმა და გაერთიანებული სამინისტროს ფინანსური რესურსები ძირითადად მოკლევადიანი უკუგების (სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება) ღონისძიებებზეა მიმართული.

ეს ნათლად აისახა საბიუჯეტო პრიორიტეტების ჩამონათვალსა და მათ შინაარსობრივ დატვირთვაში როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი თვალსაზრისით.

2020-2023 წლების პრიორიტეტებში აღარ ფიგურირებს 2017-2019 წლის ის პრიორიტეტები, რომლებიც არ შესრულებულა, ან მოითხოვს გადაუდებელ განგრძობადობას. მათ შორისაა სატყეო დარგის მართვის სრულყოფის, გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების აქტიურად ჩართვისა და სხვა თემები.

2020 წლის ბიუჯეტი და 2020-2023 წლების მიმართულებები ჯეროვნად ვერ ასახავს კლიმატის გამოწვევებთან დაკავშირებული ძირითადი სტრატეგიული დოკუმენტებით დასახული მიზნების მიღწევისათვის აუცილებელ და გადაუდებელ ღონისძიებებს:

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა III ეროვნული პროგრამის მიხედვით (NEAP-3) (10. კლიმატის ცვლილება) ერთერთი უმთავრესი ამოცანაა - მაღალი სოციალური ხარჯებიდან გამომდინარე, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სანაპირო ზონის ინტეგრირებული დაგეგმვისა და მართვის ინსტრუმენტებს და არა მხოლოდ ნაპირების ეროზიისგან დაცვის ღონისძიებებს. ამ მიმართულებით სათანადო დაფინანსებას არ ითვალისწინებს არც ამჟამინდელი პრიორიტეტები და არც 2020 წლის ბიუჯეტი;

2020 წელს, ასევე არ მოხდება ამავე დოკუმენტის შემდეგი რეკომენდაციის გათვალისწინება ენერჯის ალტერნატიული წყაროების (როგორცაა ქარისა და მზის ენერჯია) განვითარების კუთხით.

2020 წლის ბიუჯეტსა და 3 წლიან სამოქმედო გეგმაში ასევე ჯეროვნად არაა ასახული ეროვნული პროგრამის (NEAP-3) შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციები: „კლიმატის ცვლილების გავლენით 2021-2030 წლებში ეკონომიკურმა ზარალმა შესაძლოა 25-30 მილიარდ ლარს მიაღწიოს, თუ არ იქნება მიღებული სათანადო საადაპტაციო ზომები, მაშინ, როდესაც თავად ამ საადაპტაციო ღონისძიებების ღირებულება 2,5-3 მილიარდი ლარის ფარგლებში მერყეობს.

აქედან გამომდინარე, კლიმატის ცვლილების არსებული ტენდენციის პირობებში უაღრესად მნიშვნელოვანია საადაპტაციო ზომების მიღება და სხვა.

მსგავსი დამოკიდებულების არაერთი შემთხვევაა სხვა სტრატეგიული დოკუმენტების რეკომენდაციების მიმართაც.

ბ) ადგილობრივი ბიუჯეტები

არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით ანალიზი ჩაუტარდა 13 მუნიციპალიტეტის 2017-2018 და 2019 წლების ბიუჯეტებს (მ.შ.: ამბროლაური, ახალციხე, ბათუმი, ბორჯომი, გორი, ზესტაფონი, ზუგდიდი, თბილისი, თელავი, რუსთავი, სტეფანწმინდა, ფოთი, ქუთაისი).

კვლევამ აჩვენა, რომ 11 მუნიციპალიტეტის (გარდა თბილისის, რუსთავისა და ქუთაისისა) ბიუჯეტში საერთოდ არ ფიგურირებს კლიმატის ცვლილების გამოწვევებზე რეაგირებისათვის განკუთვნილი დაფინანსება. ამავე მუნიციპალიტეტებს (7 მათგანი მერების შეთანხმების ხელმძღვანელი) ბიუჯეტებში გათვალისწინებული არ აქვთ თანხები არც ამ შეთანხმების შესაბამისად აღებული ვალდებულებების შესასრულებლად.

ბიუჯეტების სხვადასხვა მუხლებში გარემოს დაცვის მიზნით გაბნეული თანხები მიზერულია და რაიმე შედეგზე არაა ორიენტირებული. ეს თანხები ძირითადად ინფრასტრუქტურული თემების და სიტუაციური პრობლემების მოგვარებისთვისაა განკუთვნილი.

შედარებით პოზიტიური სურათია ქუთაისის და რუსთავის მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო დაფინანსებაში.

გაცილებით წინაა დედაქალაქის მერია, რომელიც მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს კლიმატის ცვლილების გამოწვევებზე რეაგირების საბიუჯეტო უზრუნველყოფას და ახორციელებს, ან დაგეგმილია ისეთი მსხვილმასშტაბიანი პროექტების განხორციელება, როგორცაა:

- ✓ მიწისქვეშა ტრანსპორტის განვითარება;
- ✓ საქალაქო ავტოტრანსპორტის ქსელის მოდერნიზაცია-განვითარება და განახლება ეკოლოგიურად სუფთა სატრანსპორტო საშუალებებით;
- ✓ თბილისის მწვანე ეკონომიკის განვითარება;
- ✓ სარკინიგზო დტრანსპორტის ოპტიმიზაცია;
- ✓ საავტომობილო გზების რეაბილიტაცია და ქსელის გაფართოება; და სხვა.

გ) ფინანსური მხარდაჭერა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან

კლიმატის ცვლილებას გაცილებით მნიშვნელოვანი თანხები მოხმარდა დონორების მიერ როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი დანიშნულებით.

საერთო ღირებულების მნიშვნელოვანი ნაწილის დონორების მიერ დაფინანსების მეშვეობით განხორციელდა პროექტები:

- I, II და III ეროვნული შეტყობინებები, ასევე დონორების დაფინანსებით მიმდინარეობს მუშაობა IV ეროვნული შეტყობინების მოსამზადებლად;
- პირველი ორწლიური განახლებული ანგარიში კლიმატის ცვლილების შესახებ;
- საქართველოში სათბურის გაზების ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიში 2010-2013;
- დაბალემისიანი განვითარების სტრატეგია საქართველოსათვის;
- გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების ინტეგრაციისთვის სახელმწიფო უწყებების მანდატების (როლი და პასუხისმგებლობა) ჰარმონიზება;
- „კლიმატის ცვლილების შესახებ“ ჩარჩო-კონვენციის ეროვნულ დონეზე განხორციელება, ინსტიტუციური მოწყობის და მონიტორინგისა და ანგარიშგების შესაძლებლობათა შეფასება;
- საგანმანათლებლო მასალათა კრებული „კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება“;

- საქართველოს კლიმატის ცვლილებისა და მასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკის შეფასება;
 - „გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“;
- და სხვა.

მიუხედავად ამისა, სუსტია სხვადასხვა დონორის მიერ დაფინანსებულ პროექტებს შორის კოორდინაცია, ისინი ვერ ავსებენ ერთმანეთს და სუსტად ითვალისწინებენ სხვა პროექტების დასკვნებსა და რეკომენდაციებს, რაც არათანმიმდევრულსა და დაბალეფექტურს ხდის რესურსების ხარვას როგორც პოლიტიკური, ასევე ტექნიკური თვალსაზრისით.

დ) სამეწარმეო სექტორი

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებითა და INDC დოკუმენტით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად პოლიტიკურმა და პრაქტიკულმა ქმედებებმა პოზიტიური გავლენა იქონია კლიმატის ცვლილების გამოწვევებზე ბიზნესსექტორის პასუხისმგებლობის ამაღლებასა და პორცესებში ჩართულობაზე.

მთელმა რიგმა კომერციულმა სტრუქტურებმა დაიწყეს ფიქრი ემისიების შესამცირებლად პროექტების შემუშავებასა და მათ განხორციელებაზე, ხოლო ნაწილმა უკვე განახორციელა ცალკეული პროექტები და ამისათვის მნიშვნელოვანი თანხებიც დახარჯა.

ამ კუთხით აღსანიშნავია:

- „რუსთავის აზოტი“, რომელმაც ემისიების შემცირების მიზნით დახარჯა 17 მლნ აშშ დოლარამდე თანხა და ემისიების წლიური რაოდენობა შეამცირა 48 8 გიგაგრამით;
- „ჯორჯიან მარგანეზმა“ ფეროშენადნობების ქარხანაში 64 მლნ აშშ დოლარის ინვესტირებით ემისიების წლიური რაოდენობა შეამცირა 9 გიგაგრამით;
- „რუსთავი ფოლადმა“ 0 2 მლნ აშშ დოლარის ინვესტირებით ემისიების წლიური რაოდენობა შეამცირა 8 8 გიგაგრამით;
- აგარის შაქრის ქარხანამ 1 05 მლნ აშშ დოლარის ინვესტირებით ემისიების წლიური რაოდენობა შეამცირა 9 8 გიგაგრამით;
- ასევე, მნიშვნელოვანი ინვესტირების შედეგად „ჰაიდელბერგცემენტმა“ ემისიების წლიური რაოდენობა შეამცირა 2 9 გიგაგრამით;

5. კლიმატის ცვლილების მხარდაჭერა განათლების სფეროში

სამეცნიერო და საგანმანათლებლო მუშაობა, კლიმატის ცვლილებისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მისი გავლენის თვალსაზრისით, არასაკმარისი და ფრაგმენტულ ხასიათსაა.

ამ თვალსაზრისით შესწავლილი იქნა საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამები 2018-2019 სასწავლო წლის მდგომარეობით და გაირკვა, რომ:

- „საქართველოში ავტორიზებული 68 უმაღლესი სასწავლებლიდან (უნივერსიტეტი, სასწავლო უნივერსიტეტი, კოლეჯი, მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება) მხოლოდ 8 სასწავლებელს სასწავლო პროგრამებში ფიგურირებს ეკოლოგიასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, ხოლო უშუალოდ „კლიმატის ცვლილება“ არცერთ პროგრამაში არ არის ასახული.
- გარემოს დაცვის თემით დაინტერესებული 8 სასწავლებლიდან ზოგიერთ მათგანში, (მაგ.: აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახ. უნივერსიტეტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი) ეს თემატიკა მხოლოდ სამაგისტრო პროგრამებია ასახული.
- საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებაა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბოტანიკის ინსტიტუტთან ერთად). ეს უნივერსიტეტი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს კვლევით საქმიანობას საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგში და მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოში კლიმატის ცვლილების მონიტორინგის და მისი ზეგავლენის შესწავლის პროცესში. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ახორციელებს სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო კვლევებს, რომელთა მიზანია კლიმატის ცვლილების კუთხით საქართველოსა და მსოფლიოში არსებული ვითარების შეფასება, კლიმატის ცვლილების ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე, სოფლის მეურნეობასა და ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებზე.
- სამეცნიერო კვლევები მიმდინარეობს და მასში ჩართული არიან სტუდენტებიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ნაწილობრივ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც (მათში ფიგურირებს ძირითადად სატყეო საქმე), თუმცა ეს არ არის საკმარისი!

არსებული სიტუაცია განპირობებულია მრავალი ფაქტორით და მათ შორის განმსაზღვრელ როლს თამაშობს ის, რომ მსგავსი პროფესია ქვეყანაში არ არის მოთხოვნილი.

კიდევ უფრო საგანგაშოდ მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ გარემოს დაცვა, მ.შ. კლიმატის ცვლილება, საერთოდ არ ფიგურირებს საბაკალავრო სასწავლო პროგრამებში, რაც ნეგატიურად აისახება საზოგადოების ზოგად ცნობიერებასა და დაინტერესებაზე.

ასეთი დამოკიდებულება განაპირობებს იმას, რომ:

- საქართველოს საზოგადოების უდიდესი ნაწილი ვერ აცნობიერებს კლიმატის ცვლილების გამოწვევებსა და მასთან დაკავშირებულ რისკებს;
- ბუნებრივ ანომალიებსა და ყოველდღიურ კლიმატურ არატრადიციულ მოვლენებს ვერ აკავშირებს კლიმატის ცვლილების გლობალურ მოვლენებთან და პროცესებთან;

- სრულად ვერ აცნობიერებს ტრადიციული კლიმატური პირობების ცვლილების კანონზომიერებას და შემთხვევითობად მიიჩნევს ყოველ ასეთ გამოვლინებას;

და სხვა.

ფაქტია, რომ სახელმწიფო არსებითად დისტანცირებულია სამეცნიერო კვლევებისა და საგანმანათლებლო პროგრამებში კლიმატის ცვლილების პრობლემატიკის ინტეგრირების დაფინანსებისაგან.

6. SWOT ანალიზი და რეკომენდაციები

საქართველოს კლიმატის ცვლილების სახელმწიფო პოლიტიკის SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • საქართველო მიერთებულია კლიმატთან დაკავშირებულ კონვენციებს და აღებული აქვს კონვენციებით გათვალისწინებული ვალდებულებები • საქართველო მონაწილეობს „გარემო და ჯანმრთელობა“ ევროპულ პროცესში • ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, სადაც დიდი ყურადღება ეთმობა კლიმატის ცვლილებას • კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი ეროვნული კომუნიკაციები • ხელმისაწვდომობა კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო სხვადასხვა ფონდებზე • პირველი, მეორე და მესამე ეროვნული შეტყობინება • სათბური გაზების ინვენტარიზაციის ორწლიური ნაგარიშები • ეროვნული პროგრამები და სხვა სტრატეგიული დოკუმენტები • საერთაშორისო მხარდაჭერა 	<ul style="list-style-type: none"> • სუსტი და არაამბიციური საკანონმდებლო ბაზა • საქართველოს კანონმდებლობისა აღსრულების დაბალი დონე • საქართველოს პარლამენტის მხრიდან სუსტი კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე • კლიმატის ცვლილების პრობლემისადმი სისტემური მიდგომის არარსებობა მთავრობის დონეზე • სამეცნიერო კვლევების სიმცირე • კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გამოცდილების ნაკლებობა • ადგილობრივი თვითმმართველობების ნაკლები ჩართულობა კლიმატის ცვლილების პრობლემატიკაში • ქვეყნის მწირი ფინანსური შესაძლებლობები • ინფორმაციის და მონაცეთა ნაკლებობა • საზოგადოების არასაკმარისი გაცნობიერება და ჩართულობა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებაში • საზოგადოების განათლების დაბალი დონე კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზემოქმედებისა ადამიანის ჯანმრთელობაზე და მასთან ბრძოლის მეთოდებზე

შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • ცვლილებები მთავრობის მოქმედებებში პრობლემასთან დაკავშირებით • საერთაშორისო ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა • დაინტერესებულ მხარეთა ერთობლივი, სინერგიული მოქმედებები • კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოცდილების გაღრმავება ადამიანის ჯანმრთელობისთვის რისკის შემცირებაში • კლიმატის ცვლილებასთან მოწყვლადობის ანგარიშების მომზადება ადგილობრივ დონეზე • საზოგადოების და თვით სსო-ს ცნობიერების ამაღლება • კლიმატის ცვლილების და ჯანმრთელობის პრობლემატიკის ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამებში • კლიმატის ცვლილების და ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებული ინსტიტუციების გაძლიერება • კლიმატის ცვლილების და ჯანმრთელობის პრობლემატიკის ჩართვა ქვეყნის განვითარების სტრატეგიებში და გეგმებში 	<ul style="list-style-type: none"> • ფინანსური და სხვა რესურსების ნაკლებობა • არაადეკვატური კანონმდებლობა და პოლიტიკა • არაეფექტური ინსტიტუციები და მათ შორის სუსტი კავშირი • პოლიტიკოსების და მთავრობის სკეპტიკური დამოკიდებულება კლიმატის ცვლილების გავლენის მიმართ • ჯანმრთელობაზე კლიმატის ცვლილების გავლენის მნიშვნელობის გაგების ნაკლებობა ადგილობრივ თვითმართველობებში • კლიმატთან დაკავშირებული მონაცემების სიმწირე • სსო-ების ცუდი კოორდინაცია • უპირატესად დონორების მიერ მართული პროცესები და მათ შორის სუსტი კოორდინაცია • ჯანდაცვასთან და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქვეყნის მიერ აღებულ ვალდებულებათა არშესრულება • კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის და მისი ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა სიმცირე

საქართველოს კლიმატის ცვლილების პოლიტიკის ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები მათი აღმოფხვრისათვის

	ქვეყნის კლიმატის ცვლილების პოლიტიკის ძირითადი ხარვეზები	საფრთხეები
1	კონსტიტუციით დადგენილი ნორმები სრულად და სინერგიულად არ არის ასახული მათ პოლიტიკის განმსაზღვრელ კანონებში და ნორმატიულ აქტებში	საჭიროა შემდგომი მუშაობა კონსტიტუციის შესაბამისი მუხლების კანონმდებლობაში ასახვისთვის
2	არ ასეობს ერთიანი კანონმდებლობა თუ სტრატეგია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, თუმცა ეს იყო კანონის ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ მოთხოვნა (ამოღებულია 2011 წელს)	საჭიროა აღნიშნული მუხლის აღდგენა ან ასახვა სხვა საკანონმდებლო აქტში

3	<p>არ ამოქმედებულა რიგი მუხლებისა საქართველოს კანონისა გარემოს დაცვის შესახებ რომელთაც შეხება აქვთ კლიმატის ცვლილებასთან, კერძოდ: გარემოს დაცვის მოქმედებათა პროგრამების სავალდებულოება ადგილობრივ და უწყებრივ დონეზე (მუხლი 15) და მუხლი 17 ეკოლოგიური დაზღვევის შესახებ</p>	<p>შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების შემუშავება. კლიმატის ცვლილების ადამიანის საცხოვრისისა და ჯანმრთელობაზე სულ უფრო მეტი ზემოქმედების გამო განსაკუთრებული მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიური დაზღვევის შემოღება</p>
4	<p>ქვეყნის დარგობრივ თუ რეგიონალურ განვითარების გეგმებში და სტრატეგიებში კლიმატის ცვლილების საკითხები ფაქტიურად ასახული არ არის</p>	<p>გეგმების და სტრატეგიების შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს კლიმატურ პარამეტრებში არსებული და მოსალოდნელი ცვლილებები, მათი შესაძლო ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე. მათში ინტეგრირებული უნდა იქნეს კლიმატის ცვლილებისადმი საადაპტაციო და შემარბილებელი ღონისძიებები</p>
5	<p>საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები მწირედ არის ასახული ქვეყნის კანონმდებლობაში</p>	<p>საქართველოს კანონმდებლობით საერთაშორისო ვალდებულებებს უპირატესი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ამისა ეს ვალდებულებები არ არის გაწერილი ადგილობრივ კანონმდებლობაში, რაც აუცილებელია მათი აღსრულების მექანიზმების შემუშავებისთვის</p>
6	<p>კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საქართველოს კანონმდებლობის ხარვეზები ძირითადად განპირობებულია იმით, რომ საკანონმდებლო მუშაობა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით ბევრად ჩამორჩება ამ მხრივ საერთაშორისო დონეზე მიღებულ პრინციპებს და ვალდებულებებს</p>	<p>როგორც ავღნიშნეთ საერთაშორისო ვალდებულებები მწირედ არის ასახული ეროვნულ კანონმდებლობაში ამიტომ ეს ავტომატურად იწვევს ჩვენი პოლიტიკის ჩამორჩენას კლიმატის ცვლილებასთან მიმართებაში</p>
7	<p>მიუხედავად კლიმატის ცვლილების ამკარა ზემოქმედებისა სხვადასხვა სექტორების თუ რეგიონების ფუნქციონირებაზე ნაკლებია ამასთან დაკავშირებული საჭირო მეთოდოლოგიური და სახელმძღვანელო მასალები</p>	<p>დაგეგმარების სახელმძღვანელოების (მეთოდური მითითებების) შემუშავება სექტორების მიხედვით, რომელშიც მოცემული იქნება ტექნიკურ- ეკონომიკური ხასიათის საცნობარო მასალა დაგეგმარების პრაქტიკული მაგალითებით</p>

8	საკმარისად არ არის გააზრებული, რომ კლიმატის ცვლილების გამომწვევ მიზეზებთან და მის გამოვლინებებთან ბრძოლას გააჩნია დადებითი მულტიფექტები	განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ე.წ. „არა წამგებიანი“ (no regret ან win-win) საადაპტაციო ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, რომლებიც იქნებიან ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით სარგებლის მომტანი
9	დონორების დახმარებით მიმდინარეობს მრავალი პროექტის განხორციელება კლიმატის ცვლილების სფეროში თუმცა სუსტია კოორდინაცია დაინტერესებულ მხარეებს შორის, რაც ქმნის საქმიანობის პარალელიზმის საფრთხეს	ინფორმაციის გაცვლის მექანიზმის ჩამოყალიბება სპეციალური ვებ-პორტალის სახით (clearing house mechanism) მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სხვადასხვა პროექტების ფარგლებში კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შეფასების მიზნით განხორციელებული კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების ხელმისაწვდომობას და ინფორმაციის გაცვლას. აგვაცილებს კვლევების დუბლიკაციას
10	კლიმატის ცვლილების ექსტრემალური გამოვლინებების წინასწარი შეტყობინების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება	როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა (თბილისის 2015 წლის ივნისის მოვლენები) ასეთი სისტემა მოითხოვს გადაუდებელ სრულყოფას. საჭიროა ყველა შესაბამისი სტრუქტურის აღჭურვა თანამედროვე დიაგნოსტიკური, მონიტორინგის და ტექნიკური საშუალებებით
11	სამეცნიერო და საგანმათლებლო მუშაობა კლიმატის ცვლილების და მის ზემოქმედებაზე ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე არასაკმარისია და ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს	საჭიროა სამეცნიერო კვლევების დაფინანსება და საგანმანათლებლო პროგრამებში კლიმატის ცვლილების პრობლემატიკის ინტეგრირება



დასკვნა

კლიმატის ცვლილება თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი საერთო გამოწვევაა და მისი უარყოფითი შედეგების მინიმოზაცია და ადაპტაცია თითოეული სახელმწიფოს პრიორიტეტი უნდა გახდეს. კლიმატის ცვლილების მიმართ განსაკუთრებულად მოწყვლადნი არიან მცირე ტერიტორიის, რთული რელიეფისა და სოციალ-ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული ქვეყნები.

ასეთი მაღალი მოწყვლადობის ქვეყანაა საქართველო. მისი მდებარეობა, მათა სისტემა, შავი ზღვის გავლენა და კიდევ სხვა ფაქტორი, განაპირობებს ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენების მრავალფეროვნებას და სიხშირეს, რაც კლიმატის ცვლილების პირობებში სავარაუდოდ კიდევ უფრო გამძლიერდება.

აქედან გამომდინარე, ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ერთიანი, ეფექტური პოლიტიკის შემუშავება.

წინამდებარე დოკუმენტში განხილულია ქვეყნის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკა. ამ პოლიტიკის ჩამოყალიბების ეტაპები. გაანალიზებულია აღნიშნული პოლიტიკის საკანონმდებლო, სტრატეგიული დოკუმენტების და მისი ფინანსური უზრუნველყოფის ეფექტურობა. ხაზგასმულია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებების როლი საქართველოს კლიმატის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. აღნიშნულია, რომ საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები ჯერ კიდევ არაა სათანადოდ ასახული ქვეყნის კანონმდებლობაში თუ სტრატეგიულ დოკუმენტებში, სუსტია კლიმატის ცვლილებაზე პასუხისმგებელი სამთავრობო ინსტიტუციები, მწირია სახელმწიფო დაფინანსება.

აღნიშნული გამო, დღეისათვის, კლიმატის ცვლილების საკითხები და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ანგარიშების თუ კვლევების მომზადება ძირითადად დონორების მართული პროცესია.

აღნიშნული დოკუმენტი პირველ რიგში განკუთვნილია პროექტის ფარგლებში შექმნილი საზოგადოებრივი ქსელის წევრებისთვის.

ის ასევე ღირებული იქნება იმ ინდივიდებისა და ჯგუფებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კლიმატის ცვლილების საკითხებით.

დოკუმენტი ხელს შეუწყობს დაინტერესებული მხარეების სწორი პოზიციის ჩამოყალიბებას ქვეყნის კლიმატის ცვლილების პოლიტიკისადმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

ელექტრონული მისამართები

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ - <https://unfccc.int/resource/docs/convkp/conveng.pdf>;
2. კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის კოტოს ოქმი <http://eiec.gov.ge/NavMenu/Documents/International-Convention/%E1%83%99%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98.aspx>
3. მერების შეთანხმება https://library.euneighbours.eu/sites/default/files/KA_CoM_official_text_Georgian.pdf
4. კოპენჰაგენის შეთანხმება <http://eiec.gov.ge/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/Legislation/Agreement.aspx>
5. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის - <http://www.parliament.ge/ge/gavigot-meti-evrokavshirtan-asocirebis-shetanxmebis-shesaxeb/associationagreement1>
6. პარიზის შეთანხმება <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3702467?publication=0>
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/3702467/0/ge/pdf>
7. დაბალემისიანი განვითარების სტრატეგია სათბური გაზების ეროვნული ნვენტარიზაცია პირველი, მეორე და მესამე ეროვნული შეტყობინებები <http://www.eiec.gov.ge/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/Documents/Strategic-Documents.aspx>
8. ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილი - https://www4.unfccc.int/sites/ndcstaging/PublishedDocuments/Georgia%20First/INDC_of_Georgia.pdf
9. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა http://gov.ge/files/495_65924_530178_1124.pdf
10. კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა სოფლის მეურნეობისათვის <http://eiec.gov.ge/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/Project/Ended-Projects/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91.aspx>
11. კანონპროექტები „ენერგოეფექტურობის შესახებ“ „შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ“, „ენერგოეტიკეტირების შესახებ“, „განახლებადი წარმოებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოენების წახალისების შესახებ“ - <https://info.parliament.ge/#law-drafting>
12. ნარჩენების მართვის კოდექსი - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416?publication=9>
13. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981?publication=2>
14. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა

15. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა - <http://eiec.gov.ge/NavMenu/Documents/Action-Plan/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95.aspx>
16. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებებთა გეგმა 2014-2020 წლებისათვის (NBSAP) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2342057?publication=0>
17. საქართველოს გარემოს და ჯანმრთელობის 2018-2022 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა (NEHAP-2) <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4441562?publication=0>
18. განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა (NREAP)
19. ენერგოეფექტურობის პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა 2017-2020 წლებისათვის (NEEAP)
20. საქართველოს მეორე განახლებული ორქლიური ანგარიში - https://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/ENV/UNDP_GE_EE_SBUR_2019_GEO.pdf
21. მწვანე ალტერნატივა - 2016 წელს მომზადებულ კვლევა „კლიმატის ცვლილების შესახებ“ ჩარჩო-კონვენციის ეროვნულ დონეზე განხორციელება” - http://greenalt.org/wp-content/uploads/2016/05/CCC_GEO.pdf
22. 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი - <https://mof.ge/5115>
23. 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი - <https://mof.ge/5187>



Federal Ministry
for the Environment, Nature Conservation
and Nuclear Safety



გამოცემა მომზადდა პროექტის “სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ეროვნული კლიმატის პოლიტიკის განხორციელებაში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს“ მიერ, „დედამიწის მეგობრები გერმანია (BUND)“, თანამშრომლობით, „გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის გარემოს დაცვის, ბუნების კონსერვაციის და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური სამინისტროს (BUM) მხარდაჭერით

პუბლიკაციის შინაარზე პასუხისმგებელია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო“, მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული დონორთა მოსაზრებებად



თბილისი, სლავა მეტრეველის №4. 0112

ტელ: (+995 32) 2 30 62 21

ელ.ფოსტა: info@greens.ge

ვებ-გვერდი: www.greens.ge

